

ბოდნისი

მუნიციპალიტეტის
ბანვითარების გეგმა



financed by
Austrian
Development Cooperation

ბოდნისი

მუნიციპალიტეტის
მანვითარების გეგმა



ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შემუშავდა პროექტის გუნდისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით:

1. **მიხეილ პაკაცოშვილი** – JOIN პროექტის კოორდინატორი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
2. **ზვიად დევდარიანი** – აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
3. **ნინო ჩიტორელიძე** – JOIN პროექტის ოფიცერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
4. **დავით ჯიჭელავა** – ექსპერტი
5. **ხათუნა მადურაშვილი** – გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
6. **კახა ბახტაძე** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
7. **ირაკლი ქობალია** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებაში:

1. **გელა ლომსაძე** – ფერმერი
2. **მამუკა გაჩეჩილაძე** – ფერმერი
3. **თამარ ჩაგელიშვილი** – ფერმერი
4. **მადონა მადრაძე** – ფერმერი
5. **მოვლუდ სულეიმანოვი** – ფერმერი
6. **ირინა ნიკიფოროვა** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
7. **რიტა ასათიანი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
8. **ირმა ზურაბაშვილი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
9. **თამუნა ხოფერია** – მედია
10. **ხათუნა კიკოლიაშვილი** – ადგილობრივი თვითმმართველობა
11. **ზაზა ბურჯალიანი** – ადგილობრივი თვითმმართველობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა გამოცემულია პროექტის „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (JOIN) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მეშვეობით და ხორციელდება CARE ავსტრიის და CARE საერთაშორისო კავკასიის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
პირველი ნაწილი: ზოგადი მიმოხილვა	6
გეოგრაფიული მდებარეობა	6
კლიმატი	6
ბუნებრივი საფრთხეები	7
ბუნებრივი რესურსები	7
ადამიანური კაპიტალი	8
გენდერი	9
ინფრასტრუქტურა	11
ადგილობრივი ეკონომიკა	13
მრეწველობა	13
მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	14
მეორე ნაწილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები	16
ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა	16
ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები	16
ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები	17
მესამე ნაწილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოებული კარტოფილის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი	18
ზოგადი საკითხები	18
საწარმოო მასალის მიწოდება	18
კარტოფილის მოყვანა	19
კარტოფილის მოსავლის აღება და გაყიდვები	20
მეოთხე ნაწილი: საკანონმდებლო ანალიზი კარტოფილის ღირებულებათა ჯაჭვისთვის	23
ზოგადი საკითხები	23
სურსათის უსაფრთხოება	24
წარმოება	26
გაყიდვები	26
მეხუთე ნაწილი: ინიციატივები ბოლნისის მუნიციპალიტეტში	27

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ბოლნისის ეკონომიკის ანალიზისას ჯგუფმა რამდენიმე კრიტერიუმით გამოავლინა მუნიციპალიტეტში განვითარებული სექტორების პრიორიტეტული მიმართულებები. მესაქონლეობის და მემცენარეობის სექტორების ანალიზისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და სექტორში დასაქმებულების, მათ შორის ქალების, რაოდენობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა ადრეული კარტოფილის ღირებულებათა ჯაჭვს. მუშაობის პროცესში ჯგუფმა გააანალიზა:

- კარტოფილის წარმოებაში, მათ შორის სარგავი მასალის, სასუქების და პესტიციდების გამოყენების, დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის კუთხით არსებული მდგომარეობა;
- ირიგაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ვითარება და პრობლემები;
- მწარმოებლების კავშირები საბოლოო ბაზრებთან, მათი სტრუქტურა და გამოწვევები;
- სექტორის დამხმარე სერვისები (ფინანსური რესურსები, მექანიზაცია, ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია) და მათზე ხელმისაწვდომობა.

ანალიზის შედეგების მიხედვით ჯგუფმა გამოავლინა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც გადაჭრის ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილ პრობლემებს და მასში ჩართული ღირებულების შემოსავლებს გაზრდის.

გეგმა შემუშავებულია „ადგილობრივი მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის – JOIN“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. პროექტი დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ (ADC).

ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ერთობლივი დაგეგმვით, გაუმჯობესებული თანამშრომლობითა და ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლით JOIN ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში. საქართველოში პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის, ხოლო სომხეთში – ლორის, ტავუშის და შირაქის რეგიონებში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სამი სექტორის – ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის წარმომადგენლები. მათ არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლათ და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინიციატივები სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- შეიქმნა ჯგუფი, რისთვისაც პროექტის გუნდი ბოლნისში დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ შეხვდა და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია;
- ჯგუფის შექმნის შემდეგ წევრებს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის საჭირო უნარების ასამაღლებლად ტრენინგები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში განვითარებული ეკონომიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად მათ გამოკითხეს ადგილობრივი მოსახლეობა. ჯგუფს მუნიციპალიტეტების ზოგადი პროფილებისთვის ინფორმაციის მოგროვებაში ნაწილობრივ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი დაეხმარა;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა გამოავლინა პრიორიტეტულ ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ანალიზში, მონაწილეობდა JOIN პროექტის გუნდი, შეიქმნა დამატებითი ფოკუს-ჯგუფები, ჩაინერა ინტერვიუები;
- გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც დადებითად იმოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე და მასში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმის საბოლოო ვერსია შეიქმნა, რომლის პრეზენტაციაც გაიმართა მუნიციპალიტეტში. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში თემის მონაწილეობას უზრუნველყოფს.

ანალიზის დროს ჯგუფმა გაითვალისწინა გენდერული ასპექტები – ქალების და მამაკაცების როლი ღირებულებათა ჯაჭვში და რა გავლენა შეიძლება მისმა განვითარებამ იქონიოს თითოეულ მათგანზე. ამასთან, ანალიზის დროს ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვაზე, არსებულ რისკებზე და მათი შემცირების მექანიზმებზე.

პირველი ნაწილი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროფილი

გეოგრაფიული მდებარეობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის ქვემო ქართლის მხარის სამხრეთით მდინარე მაშავერას შუა წელში, ზღვის დონიდან 560 მ-ზე მდებარეობს. ბოლნისის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება აღმოსავლეთით – მარნეულის, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს, დასავლეთით – დმანისის მუნიციპალიტეტები. სამხრეთ ნაწილში სომხეთის საზღვარი ლორის მარ-ბაზე გადის. მუნიციპალიტეტს 1947 წლამდე ლუქსემბურგი ეწოდებოდა. 1967 წელს დაბა ბოლნისს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა თბილისი-გუგუთი, რომელზეც ბოლნისი-გუგუთის მონაკვეთი 36 კმ-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქალაქი ბოლნისი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 63 კმ-ში, ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრიდან – ქ. რუსთავიდან დაშორებულია 67 კმ-ით, ხოლო მთავარი სარკინიგზო მაგისტრალიდან (მარაბდა) – 25 კმ-ით.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი შეადგენს 804 კმ². მოსახლეობის რაოდენობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემებით, 84 191 ადამიანია. მუნიციპალიტეტში არის ორი დაბა და 45 სოფელი, რომლებიც 14 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არიან გაერთიანებული, ესენია: ქალაქი ბოლნისი, დაბა კაზრეთი, დაბა თამარისი, ქვემო ბოლნისი, ნახიდური, მამხუტი, აკაურთა, ტალავერი, დარბაზი, ტანძია, რატევანი, ქვეში, რაჭისუბანი, სოფ. ბოლნისი.¹

კლიმატი

კლიმატურად ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს სადაც გამოიყოფა ორი ჰავის ძირითადი ტიპი: 1) ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარადამავალი ზომიერად ცივი ზამთრით, ცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით (მუნიციპალიტეტის ვაკე ტერიტორია). 2) ზომიერად ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით (მთისწინეთები).

ვაკე ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 120C-ია. ყველაზე ცივი თვის, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0.3°C, აბსოლუტური მინიმუმი -24°C. ყველაზე ცხელი თვის, ივლისის საშუალო ტემპერატურა – 23.6°C. აბსოლუტური მაქსიმუმი 39°C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+10°C-ზე მაღალი) 3,8310. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 2,100-2,300 სთ.

ნალექების წლიური ჯამი – 400-500 მმ-ია. მაქსიმუმი მაის-ივნისის თვეებზე მოდის და საშუალოდ 80 მმ-ს შეადგენს. მეორე მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბერში დაიკვირვება 42-43 მმ-ით. მინიმალური რაოდენობა დეკემბრის თვეს თანხვდება. ამ თვის ნალექების საშუალო რაოდენობა 20 მმ-ს შეადგენს. ზაფხულის პერიოდისათვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ნალექების დეფიციტთან დაკავშირებული პროცესები.

¹ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2.1 მ/წმ-ს უდრის. ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის მიმართულების ქარები.

სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 2-3.

მუნიციპალიტეტის მთისწინეთის ზონაში განვითარებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით (3-5°C) თბილი ზაფხულით (23-28°C).

ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ღვარცოფები, წყალდიდობები და მასთან დაკავშირებული ნაპირების ეროზიული გარეცხვა, ძლიერი ქარი, სეტყვა და გვალვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია, განსაკუთრებით კი მისი უკიდურესი დასავლეთი ნაწილი, სეტყვის განსაკუთრებით მაღალი საფრთხის ქვეშ არის მოქცეული.²

ნაპირების ეროზიული გარეცხვა დამახასიათებელია მდ. მაშავერასთვის, რომელიც განსაკუთრებით სეზონური წყალდიდობების დროს აქტიურდება. მდ. მაშავერას მარცხენა სანაპირო მუნიციპალიტეტის ფარგლებში ძირითადად წარმოდგენილია ეროზიული გარეცხვისადმი არამდგრადი ალუვიური გენეზისის I და II ჭალისზედა ტერასული ნალექებით (თიხნარი წვრილი კენჭნარის ჩანარებით). მდ. მაშავერას ნაპირების მარჯვნიუსეულ ეროზიას განაპირობებს მისი მარჯვენა შენაკადის მდ. ფოლადაურის მიერ ჩამოტანილი მყარი მასალების აკუმულიაცია, რაც სეზონური წყალდიდობების დროს იწვევს მაშავერას კალაპოტის მკვეთრ აწევას.³

ბუნებრივი რესურსები

მინის რესურსი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია რუხი-ყავისფერი ნიადაგები, მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები, რაც ხელსაყრელია მემინდვრეობის განვითარებისთვის. ნიადაგის მთავარი პრობლემა მისი გამოფიტვა და სხვადასხვა ნივთიერებებით დაბინძურებაა. ერთი მხრივ, ამის მიზეზია ორგანული და არაორგანული სასუქების შეუსაბამო გამოყენება, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლების მოშლა და სარწყავი სისტემების გაუმართაობა, ხოლო მეორე მხრივ, ქარის-მიერი და წყლისმიერი ეროზიები.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ნიადაგსაფარი, ძირითადად, შემდეგი ტიპის ნიადაგებით არის წარმოდგენილი:

- რუხი-ყავისფერი ნიადაგები;
- შავმიწა ნიადაგები;
- ყავისფერი ნიადაგები;
- მდელოს ყავისფერი ნიადაგები;
- მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები;
- ნემომპალა კარბონატული ნიადაგები;
- ალუვიური ნიადაგები⁴.

2 <http://drm.cenn.org/index.php/en/community-profile>

3 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო გარემოს ეროვნული სააგენტო გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტი. საინფორმაციო ბიულეტენი – „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისთვის“. თბილისი – 2013

4 ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

წყლის რესურსი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტბები და წყალსაცავები არ არის. ჩრდილოეთის მხარეს ჩამოედინება მდ. ქცია (ხრამი), რომელიც სათავეს ჯავახეთის ქედზე იღებს და ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების საზღვარს წარმოადგენს. სამხრეთის ნაწილში ჩამოედინება მდ. მაშავერა, ორივე მდინარე მტკვრის შენაკადებია. თავის მხრივ, მდინარე მაშავერასაც აქვს ორი შენაკადი – ფოლადაური და გეტა. ეს მდინარეები ძირითადად თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ. მდინარე მაშავერას გაზაფხულზე – წყალდიდობა, ზაფხულსა და შემოდგომაზე კი ზოგჯერ წყალმოვარდნა ახასიათებს. მდინარე ბოლნისისა და მარნეულის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 7.4 ჰა-ს რწყავს. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მაშავერა იერთებს ასევე მდინარეებს მამუთლისხევსა და ბალიჭისწყალს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში არის ასევე სამკურნალო სუფრის მინერალური წყარო „ბოლნისი“.

ტყის რესურსი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყეს მთლიანი ფართობის 50% უკავია (43 000 ჰა) და ზღვის დონიდან 750-900 მ-ზეა გავრცელებული. ტყის საფარი წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი მცენარეებით და, ძირითადად, რეკრეაციული დანიშნულება აქვს, გამოიყენება, აგრეთვე, მოსახლეობისათვის შეშის დასამზადებლად.

სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა გულისხმობს ტყის ფონდის გამოყენებას მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, სათიბად, საძოვრად, საფუტკრისა და საქონლის დროებითი სადგომების მოსაწყობად, ტყის ფონდში არსებული ბაღებითა და ვენახებით სარგებლობას. აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ აზიანებს აღმონაცენ-მოზარდს, არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გაცემულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ დროებითი ნაგებობის მოწყობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 57). ტყითსარგებლობის წესის მიხედვით, ტყის ფონდის სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ტარდება აუქციონი (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 45).

მინერალური რესურსი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია მაღალი ხარისხის ისეთი მინერალებით, როგორცაა ბაზალტი და ტუფი. ამ მინერალებზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიდა, ასევე, გარე ბაზარზე. ექსპერტთა აზრით, მათი მარაგები ადგილობრივ საბადოებზე საკმაოდ დიდია. მუნიციპალიტეტში მოიპოვება ოქრო, სპილენძი და ბარიტი. სწორედ ამ მინერალების მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებელი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს. საბადოებში მოიპოვება, აგრეთვე, სხვა ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ლითონები, როგორცაა: ვერცხლი, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, სულფატი, მანგანუმი*.

ადამიანური კაპიტალი


მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემებით, ბოლნისის მოსახლეობა შეადგენს 84 191 ადამიანს, საიდანაც 50.4% მამაკაცია, ხოლო 49.6% ქალი. მოსახლეობის 12% ცხოვრობს ქ. ბოლნისში, 17% – დაბა თამარისისა და ვაზრეთის ტერიტორიულ ერთეულებში, ხოლო დანარჩენი 71% მუნიციპალიტეტის სოფლებშია განაწილებული.

* ბოლნისის რუკა, იხ. გვ. 28

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანელია – 50,2%, ქართველები მოსახლეობის 40.8%% შეადგენენ, 8.5% სომეხია, ხოლო 0.5% – სხვადასხვა ეროვნების. ბოლნისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაჰმადიანია, რაც, ძირითადად, ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას წარმოადგენს, შემდეგ მოდის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არის გრიგორიანელი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

დიაგრამა 1: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



მუნიციპალიტეტში 15 წელს ზემოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 49% დასაქმებულია. მათ შორის 39.3% მუშაობს საკუთარ მიწაზე, 1.7%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი, 23.7% მუშაობს ანაზღაურებით, 35.3% – სხვადასხვა დარგებში. მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 21.7 %-ია. 2,803 ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ცხრილი 1: ბოლნისის მუნიციპალიტეტის და ქვემო ქართლის დასაქმების სტატისტიკა⁵

მუნიციპალიტეტი	დასაქმებულთა წილი 15 წ-ზე უფროს მოსახლეობაში(%)	აქვს საკუთარი ბიზნესი	მუშაობს ანაზღაურებით	მუშაობს საკუთარ მიწაზე	სხვა	უმუშევრობის დონე
ბოლნისი	49.0	1.7	23.7	39.3	35.3	21.7
ქვემო ქართლი	43.7	4.1	35.7	42.5	17.6	26.1

გენდერი

საქართველოში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია რამდენიმე კუთხით. ქვეყანაში არსებული კულტურა და ტრადიციები განაპირობებს, რომ ოჯახში, ხშირად, საქმიანობები გადანაწილებულია გენდერული პრინციპით – „სახლის გარეთ“ აქტივობები, როგორცაა მოლაპარაკებები ტექნიკის ან სასუქების მიმწოდებლებთან, მოსავლის გაყიდვა და ყანის მოვლა, მამაკაცის პრეროგატივად ითვლება. ქალებს კი „მინაური საქმეები“ აბარიათ – სახლის/

⁵ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში

ეზოს მოვლა, საჭმლის მომზადება, რეცხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ – მაგალითად, მძიმე ტომრების გადატანა – როგორც წესი, კარტოფილის ან პომიდვრის მოსავლის აღებაზე ქალები მუშაობენ, რაც დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. სოფლად არსებული საქმეების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ქალებს საშუალოდ უწევთ უფრო მეტი დროის დახარჯვა საქმეებზე, ვიდრე მამაკაცებს, რადგან „სახლის გარეთა“ აქტივობები უფრო მცირეა, ვიდრე „საშინაო საქმეები.“⁶

„საშინაო“ და „საგარეო“ საქმეების გარდა, არსებობს, ასევე, „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ საქმეებიც. „მნიშვნელოვანი“ გადანყვებილებს, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნა, ძირითადად ვაცები იღებენ. ქალები კი – „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ ყოველდღიურ გადანყვებილებს, როგორცაა, მაგალითად, საკვების მომზადება და ბავშვების მოვლა. რეალურად, გამოდის, რომ სწორედ ქალები წყვეტენ ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რადგან ტექნიკის ან საქონლის შექმნა ადგილობრივი ფერმერებისთვის არ არის ხშირი მოვლენა. ოჯახის სახარჯო ბიუჯეტი, ძირითადი მოხმარების საგნების საყიდლად, ქალების განკარგულებაშია. თუმცა, „ოჯახის უფროსის“ ტიტული მაინც მამაკაცებს ეკუთვნით.⁷

სხვადასხვა დირებულებათა ჯაჭვში ქალების როლი და პასუხისმგებლობები საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი. ტექნიკის დაქირავების ან მოსავლის გაყიდვის პროცესს, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ. თუმცა მოსავლის აღების, მაგალითად, კარტოფილის ამოღების სამუშაოებში, ქალები ხშირად არიან ჩართულნი.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების და დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ქალთა როლის გაზრდის პოტენციური სხვადასხვა დირებულებათა ჯაჭვში. მაგალითად, ქალთა ნაწილს სურს, დაეუფლოს იმ ტექნიკური საშუალების მართვას, რაზეც მოთხოვნა არსებობს მუნიციპალიტეტებში. მართალია, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხვედრია მსგავს ინიციატივებს, მაგრამ შეიქმნა მსგავსი შესაძლებლობის განხილვის პრეცედენტი. ამ კუთხით ქალების როლის ზრდა მცირედით მაინც მოახდენს გენდერული როლების დაბალანსებას.

საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის კუთხით. 2010 წელს მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რის შემდეგაც დამტკიცდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა. ასევე, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ მიმდინარე გენდერულ საკითხებზე და მიიღონ გადანყვებილები. თუმცა, პრობლემად რჩება არსებული კანონების და ნორმების აღსრულება. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპები და გენდერული როლები, პრაქტიკულად, არ იცვლება. ასევე, ხშირად სხვადასხვა ცნობადი სახეები ცდილობენ გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ძალიან ცოტაა შანსი, რომ გენდერული როლები გათანაბრდეს.

6 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

7 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ცენტრალური და შიდა საუბნო გზების სიგრძე 287,1 კმ-ია, აქედან 140.8 კმ – ცენტრალური და 146.3 კმ შიდა საუბნო გზაა. საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-კაზრეთი-გუგუთის მაგისტრალის 38 კმ-იანი მონაკვეთი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის.

ადგილობრივი თვითმმართველობის 2012 წლის მოანაცემებით, შიდა საუბნო და ცენტრალური გზებიდან 70.7 კმ მოასფალტებულია, სოფლების მისასვლელი გზები, ძირითადად, გრუნტისაა თუმცა, 58.6 კმ ძველი ასფალტით არის დაფარული, და რეაბილიტაცია სჭირდება.

სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სასმელი წყლით მარაგდება დმანისის რაიონის საყაფლანოს წყაროებიდან, საიდანაც 630 მმ-იანი მილებით წყალი ჩაედინება ქ. ბოლნისისა და დაბა კაზრეთის წყალმომარაგების რეზერვუარებში. საყაფლანოდან ქ. ბოლნისამდე არსებულ მილს უკავშირდება მუნიციპალიტეტის 17 სოფლის ქსელური და საუბნო წყალმომარაგების სისტემები.

სატუმბი სადგურებით წყალი მიეწოდება 18 სოფლის 32 ათას მაცხოვრებელს, ხოლო ხუთი სოფლის 6 ათასი მოსახლე წყლით მარაგდება (დღე-ღამეში 500 მ3) შემკრები რეზერვუარებიდან თვითდინებით. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემების საერთო სიგრძე 150კმ-ია და მოსახლეობას სასმელი წყალი გრაფიკით სრულად მიეწოდება: ქ. ბოლნისში – 100%-ს და სოფლებში ქსელური და საუბნო კვებით – 95%-ს.⁸

სასმელი წყლით უზრუნველყოფილია ქალაქი ბოლნისი და ყველა სოფელი, გარდა შემდეგი სოფლებისა: სენები, ხიდისყური, ზვარეთი, სავანეთი, პატარა დარბაზი, სადაც მოსახლეობა სასმელ წყალს სოფლებში არსებული წყაროებიდან და ჭებიდან იღებს. სასმელი წყლით უზრუნველყოფილ ოჯახებს წყალი მიეწოდებათ ცენტრალური გაყვანილობით ბუნებრივ წყაროებთან არსებული შემკრები რეზერვუარებიდან. ქალაქ ბოლნისის მოსახლეობის 52%, დაბა კაზრეთის 70% და ტანძიის 60% უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემით. ქსელის საერთო სიგრძე 24 კმ-ია 2010 წლიდან ბოლნისში ფუნქციონირებს საკანალიზაციო გამწმენდი ბიოტერმინალი, რომელიც გათვლილია 6 000 მოსახლეზე.⁹

ბუნებრივი აირით მომარაგება

2013 წლის მდგომარეობით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 32% სარგებლობს ბუნებრივი აირით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაუმართავია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დამატებით 300 კმ სიგრძის ქსელის გაყვანა სჭირდება, რათა ბოლნისის მთლიან მოსახლეობას მიეწოდოს ბუნებრივი აირი.

ელექტროენერჯით მომარაგება

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მთლიანად არის ელექტრიფიცირებული და ელექტროენერჯია ყველა დასახლებულ პუნქტს მიეწოდება. თუმცა, მთავარი პრობლემა მოსახლეობის არასრული გამრიცხველიანებაა (მხოლოდ 58,7%), რაც ელექტროენერჯის გადასახადის ადმინისტრირების სირთულეებს ქმნის.

⁸ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, 2010წ.

⁹ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ნარჩენების მართვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 ნაგავსაყრელი; მათ შორის:

- ე. ბოლნისის ნაგავსაყრელის ფართობია 35000მ²;
- დაბა კაზრეთის ნაგავსაყრელის – 15000მ²;

წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა 15000მ³-ია; ნარჩენებს ყოველდღიურად ბუნკერებით აგროვებენ, თუმცა არ ახარისხებენ და ყველა სახის ნარჩენი ერთად იყრის თავს. მათი გატანის მოსაკრებლისგან ფიზიკური პირები გათავისუფლებული არიან და ეს მომსახურება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.¹⁰

საირიგაციო სისტემების ინფრასტრუქტურა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სარწყავ არხებს მართავს სახელმწიფო შპს „გაერთიანებული სამე-ლიორაციო სისტემების კომპანია“. არხები მარაგდება მდინარე მაშავერას, დმანისის მუნიციპა-ლიტეტში არსებული იაკუბლოსა და პანტიანის წყალსაცავებიდან.

მუნიციპალიტეტში სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარ-გულები სრულად არ ირწყვება. დღეს არსებული სარწყავი არხის სიგრძე 62.8 კმ-ია. ძირითადად, მიწები ირწყვება შემდეგ სოფლებში:

- სოფ. ტალავერი;
- სოფ. ჭაპალა;
- სოფ. მამხუთი;
- დ. კაზრეთი;
- სოფ. კიანეთი.

ცხრილი 2: სარწყავი სისტემები ბოლნისის მუნიციპალიტეტში

დასახელება	მორწყვის პოტენციალი ჰა	რეალური მაჩვენებელი ჰა
თვითდინების ტიპის სარწყავი სისტემები		
კაზრეთი	1095	1095
ზედა არხი	1890	1890
იმირასანი	2605	2605
არახლო	807	0
ხრამი	400	400
შუა არხი	282	0
სოფლის არხი	376	0
ჭალა არხი	40	20
ტალავერი-არქვევანი	72	32
ბაშ-არხი	472	292
მიღრილო	266	101
იასე-არხი	26	11
მელიკაბოვი	227	87
სამწვერისი	135	45

¹⁰ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

რანჩბარი	100	40
გეოდაკ-არხი	297	107
კარასუ	734	734
ქვეში არხი	75	30
სულ	9899	6089
მექანიკური ტიპის სარწყავი სისტემები		
ასმალარი	104	უმოქმედო
მუავე წყლები	7	უმოქმედო
ტალავერი-იმირასანი	617	უმოქმედო
ხრამი-არალო	1160	უმოქმედო
მამხუტი	340	უმოქმედო
არახლო	400	უმოქმედო
ქვეში	25	უმოქმედო
რატევანი	60	უმოქმედო
მუშევანი	24	უმოქმედო
ბოლნისი	75	უმოქმედო
ტალავერი	583	უმოქმედო
დისველი	518	უმოქმედო
სულ	3913	0

ადგილობრივი ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი შეადგენს 28 575 ჰა-ს. მათ შორის: სახნავი ფართობი არის 17 000 ჰა, სათიბი – 1336 ჰა, საძოვრები – 8857 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს კი 1382 ჰა უკავია.

2012 შემოდგომასა და 2013 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტში 12 797 ჰა მიწის ფართობი მოიხნა. დათესილ მარცვლეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი წილი სიმინდისაა და 2013 წლისთვის 1912 ჰა შეადგინა, ხოლო ბოსტნეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი ნათესი ფართობი 2088 ჰა კარტოფილზე მოდის.¹¹

მუნიციპალიტეტში ოთხი ძირითადი ფერმერული მეურნეობაა განვითარებული: მეცხოველეობა, მე-ბოსტნეობა, მემარცვლეობა და მევენახეობა.

მეცხოველეობას, ძირითადად, მისდევენ არასპეციალიზებული ფერმერები, რომლებიც არაკომერციულ მეურნეობას უძღვებიან. ასეთი ფერმერები მეურნეობის თითქმის 80%-ს შეადგენენ. მათ, საშუალოდ, 3-4 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. ნამატ პროდუქციას (დაახლ. 20-30%) ისინი ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან. მეცხოველეობა, როგორც კომერციული საქმიანობა, მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა განვითარებული. ფერმერებს უჭირთ ბევრი საქონლის შენახვა, რადგან ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცოტაა საძოვრები და მეორე მხრივ, ცხელი კლიმატის გამო ზაფხულობით ისინიც ხმება.

2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ოდენობა 18 833-ს შეადგენდა, ხოლო წარმოებული დაკლული ხორცის წონა, ამავე წლის მონაცემებით, 96 000 კგ-ია.

11 ბოლნისის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მემარცვლეობა წარმოდგენილია საშუალო ფერმერებით, რომლებიც საკუთარ სახნავ მიწას სიმინდის და ხორბლის მოსაყვანად იყენებენ. ბოლნისში, ძირითადად, განვითარებულია მარცვლეული კულტურები: ხორბალი, ქერი, სიმინდი. 2011 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 1485 ტონა სიმინდი აწარმოეს, ხორბალი – 4250 ტონა, ქერი – 170 ტონა.

მეზოსტნეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებული მიმართულებაა. ადგილობრივი ფერმერები აქტიურად მისდევენ მეკარტოფილეობას და სხვა ბაღჩეული კულტურების: სტაფილოს, კიტრის, ხახვის, წიწაკის, ბადრიჯნის, პომიდვრისა და სხვა ბოსტნეულის მოყვანას. ეს პროდუქტები სარეალიზაციოდ თბილისის, მარნეულის და ბოლნისის ბაზრებში მიაქვთ. 2011 წელს მუნიციპალიტეტში აწარმოეს: 5760 ტონა პომიდორი, 4800 ტონა კიტრი, 1200 ტონა ბადრიჯანი, 132 ტონა წიწაკა, 4500 ტონა ხახვი და 38350 ტონა კარტოფილი. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მუნიციპალიტეტში მეზოსტნეობის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი კარტოფილის წარმოებაა.

საწარმოები

სოფლის მეურნეობის დარგში გადამამუშავებელი საწარმოები მარცვლეულის, ხორბლისა და რძის პროდუქტების წარმოების მიმართულებით საქმიანობენ. ბოლნისში მოქმედებს ღვინის საწარმო, რომელიც წლიურად 250 ტონა ღვინოს ამზადებს. ხორბლის გადამამუშავებელი საწარმო დღეში ამუშავებს 20 ტონა ხორბალს. სოფელ რატევიანში მოქმედებს ყველის საწარმო, რომელიც ადგილობრივი ფერმერებისგან ყიდულობს რძეს და ამზადებს სხვადასხვა სახეობის ყველს (სულგუნი, მებოლილი სულგუნი, იმერული, ქარხნული), კარაქს, ასევე, ლორსაც.

მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • სიახლოვე თბილისთან და სომხეთის საზღვართან • ხელსაყრელი კლიმატი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის • ნოყიერი ნიადაგი • მინერალური საბადოები 	<ul style="list-style-type: none"> • სარწყავი და შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა • სასაწყობო მეურნეობის სიმწირე • ინფორმაციის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (სასუქების არასწორი გამოყენება და მიწის გამოფიტვა) • მუნიციპალიტეტის ელექტროენერჯის მომხმარებელთა მხოლოდ ნაწილობრივი გამრიცხველიანება • ტექნიკის და აგრეგატების არასაკმარისი ოდენობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სიახლოვე მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალთან • ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა, რომელიც იძლევა ბაზრების გაფართოების საშუალებას • ტურისტული პოტენციალი (ისტორიული ძეგლები ადრეული დამწერლობის უძველესი ნიმუშებით) 	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის გამოფიტვის საშიშროება • სტიქიური უბედურება

ძლიერი მხარეები

ქვემო ქართლის სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ბოლნისის ერთ-ერთი უპირატესობაც მის გეოგრაფიულ მდებარეობაშია. ქვეყნის დედაქალაქიც და სომხეთის საზღვარიც ბოლნისიდან დაახლოებით 60 კილომეტრშია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 236-ს აღწევს. ეს ქმნის ძალიან ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობისთვის. კლიმატთან ერთად, ბოლნისში არის მაღალი ხარისხის, ძირითადად, რუხი-ყავისფერი ნიადაგები, რაც ხელს უწყობს მემინდვრობის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის გარდა, ბოლნისში განვითარებულია მინერალური წიაღისეულის მოპოვება. მუნიციპალიტეტში მოპოვებული ბაზალტი, ტუფი, ოქრო, სპილენძი და ბარიტი არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე გამოიყენება, არამედ ექსპორტზეც გადის. წიაღისეულის მოპოვება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლის წყაროა.

სუსტი მხარეები

ადგილობრივი ფერმერებისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა სარწყავი სისტემების გაუმართაობაა. ძველი მექანიკური ტიპის სარწყავი სისტემები უმოქმედოა. მუშაობს მხოლოდ თვითღინების ტიპის სისტემები. ჯამში, დღესდღეობით ირწყვება სახნავ-სათესი ფართობების მხოლოდ 50%.

იმ ფერმერებისთვის, რომელთა ნაკვეთები გზიდან მოშორებითაა, რთულია პროდუქტების ტრანსპორტირება. ასეთ ნაკვეთებამდე მისვლა მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანებს შეუძლიათ, რაც ძალიან ზღუდავს პროდუქციის მიმოქცევას და ამცირებს საბოლოო პროდუქტიულობას.

ფერმერებისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სასაწყობე მეურნეობების უქონლობა. ფერმერი იძულებულია ნაკვეთიდანვე გაყიდოს საკუთარი მოსავალი წინასწარ მოლაპარაკებულ მყიდველთან. შედეგად, ფერმერებს არა აქვთ საშუალება დაასაწყობონ თავიანთი პროდუქტი და დაელოდონ ბაზარზე უფრო ხელსაყრელ ფასებს.

ადგილობრივი ფერმერებისთვის კიდევ ერთი პრობლემაა ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირად მოსახლეობამ არ იცის როგორ გამოავლინოს სხვადასხვა დაავადება, როგორ ებრძოლოს მათ, რა პრეპარატები გამოიყენოს. ამასთან, ფერმერები არასწორი რაოდენობით იყენებენ შხამ-ქიმიკატებს. ასევე, მათ არაფერი იციან ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მომხმარებელთა მხოლოდ 60%-მდეა გამრიცხველიანებული, რის გამოც ენერგო-გამანაწილებელი კომპანიისთვის პრობლემაა გადასახადების შეგროვება.

შესაძლებლობები

2014 წელს საქართველოში თურქეთთან დამაკავშირებელი რკინიგზა უნდა ამოქმედდეს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცენტრი მარაბდის სარკინიგზო მონაკვეთიდან სულ 25 კილომეტრით არის დაშორებული, რაც ხელსაყრელია თურქეთთან ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობისთვის.

სოფლის მეურნეობასთან ერთად, ბოლნისში არის ასევე ტურიზმის განვითარების პოტენციალიც. მუნიციპალიტეტში მრავლადაა ისტორიული ძეგლები ადრეული დამწერლობის უძველესი ნიმუშებით.

საფრთხეები

მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა ნიადაგთან დაკავშირებული საფრთხეები. ნიადაგსაფარის მთავარი პრობლემა მისი გამოფიტვა და სხვადასხვა ნივთიერებებით დაბინძურებაა. ერთი მხრივ, ამის მიზეზია ორგანული და არაორგანული სასუქების შეუსაბამო გამოყენება, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლების მოშლა და სარწყავი სისტემების გაუმართაობა, ხოლო მეორე მხრივ, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიები. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება გაზაფხულზე, როცა მდინარეებში წყალი დიდდება.

მეორე ნაწილი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა და შეირჩეს სწორი სამომავლო პრიორიტეტები. ჩამოყალიბებული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს ღონისძიებები ეკონომიკის, უფრო კონკრეტულად, ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების განსავითარებლად და ინვესტიციების მოსაზიდად. საბოლოო ჯამში, ეს აისახება მოსახლეობის შემოსავლებსა და საერთო სოციალურ ფონზე.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და SWOT ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ბოლნისის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები, რომლებიც დეტალურადაა ქვემოთ განხილული.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფცია, რომელიც აღწერს, როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მასში მაცხოვრებელი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ, 3-4 წლის შემდეგ).

მოცემული ხედვა ასახავს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფერო 4 წლიან პერსპექტივაში.

ხედვა: თუკი ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი გახდება თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის სფეროში, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის წარმოების მასშტაბები გაიზრდება, რაც გააუმჯობესებს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს 2016 წლისთვის.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები

ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამართული სამუშაო შეხვედრებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა მკაფიო მიზნები მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

მთავარი მიზნები ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგზე, მაგრამ მათ, ხედვასთან შედარებით, მაინც აღწერითი ხასიათი აქვთ:

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებით (წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის ბრდით) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებით ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ადგილობრივი ბაზრის განვითარების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგად მიზნებს.

პირველი რიგის პრიორიტეტები:

- **აგრო-განათლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, აუცილებელია ფერმერებს ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება, რომ სწორად დაგეგმონ საწარმოო პროცესი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ადრეული კარტოფილის სეგმენტისთვის. ფერმერებმა ხშირად არ იციან კარტოფილის სათესლე მასალის თვისებები, კატეგორიები, მოვლის წესები და ა. შ. მათ ასევე არა აქვთ ინფორმაცია პოტენციური ბაზრების და ფასების დინამიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე პროფესიონალების რაოდენობა, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს. ამიტომ, ვეტერინარების და აგრონომების მომზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.
- **ინვესტიციების მოზიდვა.** მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (რძის და ხორცის) გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების შესაქმნელად.

მეორე რიგის პრიორიტეტები:

- **ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.** სომხეთის საზღვართან სიახლოვე, განვითარებადი ინფრასტრუქტურა და ინფორმაციის გაცვლის არხები ხელს უწყობს ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობას. შესაბამისად, შესაძლებელია ფოკუსირება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ინფორმირება – დაინტერესებულმა ფერმერებმა უნდა იცოდნენ – რა მოთხოვნაა კარტოფილზე საზღვრის იქითა მხარეს, რა ფასებია, რა ღირს სასუქები და პესტიციდები და ა. შ.
- **თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიების დანერგვა.** მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგია და მოსახლეობის უმრავლესობა ჩართულია ამ საქმიანობაში, ახალი ტექნოლოგიების და მათი გამოყენების ცოდნის დანერგვა აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ხშირად, კეთდება ნიადაგის ან მოსავლის ლაბორატორიული ანალიზი, რის გამოც იკარგება შემდგომი განვითარების პოტენციალი. ასევე, მოსახლეობისთვის ხშირად უცნობია მიწის დამუშავების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოვლის თანამედროვე საშუალებები.

მესამე ნაწილი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოებული ადრეული კარტოფილის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

ზოგადი საკითხები

ბოლნისის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული პროდუქტის გამოსავლენად ერთმანეთთან შედარებით გაანალიზდა მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ალტერნატივები): ხორბალი, სიმინდი, ვაზი, ადრეული კარტოფილი. აქედან პრიორიტეტულ მიმართულებად გამოვლინდა ადრეული კარტოფილი.

ცხრილი 3: ადრეული კარტოფილის წარმოების კალენდარი თვეების მიხედვით

საქმიანობა	სექ	ოქტ	ნოე	დეკ	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ
თესლის შექმნა											
ორგანული სასუქის შეტანა											
მოხვნა											
მინერალური სასუქის შეტანა											
კულტივაცია											
დარგვა											
პესტიციდები											
ირიგაცია											
მოსავლის აღება											
გაყიდვა											

სანარმოო მასალის მიწოდება

ორგანული სასუქები – ფერმერების ინფორმაციით, შემოდგომაზე, მოხვნამდე, საჭიროა ნიადაგის ბუნებრივი სასუქით გამდიდრება. ორგანული სასუქები შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს აზოტს, ფოსფორს და კალიუმს, ამიტომ ფერმერები მათ დიდი რაოდენობით, საშუალოდ 20-30 ტონას იყენებენ ერთი ჰექტრის გასანოყიერებლად.

სათესლე მასალა – ფერმერები, როგორც წესი, წალკის მუნიციპალიტეტში წარმოებულ კარტოფილის თესლს ყიდულობენ. მსხვილ ფერმერებს ურჩევნიათ წალკაში ჩავიდნენ, ადგილზე შეამოწმონ სათესლე მასალა, გამოყენებული იყო თუ არა დიდი რაოდენობით ქიმიკატები და თუ ხარისხი მისაღები აღმოჩნდა, იქვე იყიდონ.

მცირე ფერმერებიც წალკაში წარმოებულ თესლს ამჯობინებენ. თუმცა, შეზღუდული სატრანსპორტო რესურსების გამო, ხშირად თესლს ბოლნისშიც ყიდულობენ. მათ ურჩევნიათ სათესლე მასალა შეიძინონ ნაცნობი გამყიდველებისგან, რომლებსაც ენდობიან. 2012 წელს წალკის სათესლე კარტოფილის საშუალო ფასი ერთ კილოგრამზე 1.1 ლარი იყო.

მინერალური სასუქები – ვინაიდან ერთი და იგივე კულტურა – კარტოფილი ყოველ წელს ერთსა და იმავე მიწაზე მოჰყავთ, ეს ფიტავს ნიადაგს და მისი სასუქებით გამდიდრება აუცილებელია მოსავლის მისაღებად. ამიტომ მოსახლეობა მიწას იმ მინერალური სასუქით ანოყიერებს, რომლის რაოდენობა და სახეობა ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებულია. ეს, ძირითადად, გაზაფხულზე, კულტივაციამდე კეთდება. უმჯობესია კომპლექსური სასუქები, რომლებშიც რამდენიმე საკვები ელემენტი შედის. ერთ ჰექტარზე დაახლოებით 300 კგ ასეთი სასუქია საჭირო. 1 კგ-ის საშუალო ფასი 2013 წელს 1.2 ლარი იყო, ხარჯი კი ერთ ჰექტარზე 360 ლარია. თუმცა, ხშირად მოსახლეობა მარტო აზოტოვან სასუქს იყენებს, რომელიც შედარებით იაფია და 0.8 ლარი ღირს.

პესტიციდები – ერთ ჰექტარზე პესტიციდების ღირებულება დაახლოებით 500 ლარი ღირს. ბალახთან და სარეველებთან საბრძოლველად გამოიყენება ჰერბიციდები, მავნებლებთან – ინსექტიციდები, სოკოვან დაავადებებთან საბრძოლველად კი – ფუნგიციდები. აქედან ყველაზე ხშირად ინსექტიციდებსა და ჰერბიციდებს იყენებენ. მავნებლების დადგენა შედარებით იოლია და, გამოცდილებიდან გამომდინარე, ფერმერებს მათი სახეობის გარჩევაც უადვილდებათ. ჰერბიციდების გამოყენება დანახარჯებსაც ამცირებს, რადგან გამარგვლა, რისთვისაც ფერმერები დამატებით მუშახელს ქირაობდნენ, საჭირო აღარ არის. ფუნგიციდები მოსახლეობაში ნაკლებად პოპულარულია, რადგან საკმაოდ ძვირი, ერთ ჰექტარზე 300 ლარზე მეტი ღირს და ფერმერები თავს არიდებენ პროფილაქტიკის მიზნით მის გამოყენებას. ამის გამო გაზრდილია სოკოვანი დაავადებების (ფიტოფტორა, მურა სიღამპლე და ა. შ.) გავრცელების საშიშროება. შენამვლას ძირითადად მამაკაცები აკეთებენ.

ადრეული კარტოფილის მოყვანა

მოხვნა იწყება შემოდგომაზე და გრძელდება პირველი თოვლის მოსვლამდე, როგორც წესი, ოქტომბერსა და ნოემბერში. ერთი ჰექტრის მოხვნა დაახლოებით 120-160 ლარი ღირს.

კულტივაცია კეთდება აპრილში, სანამ დარგვა დაიწყება. ერთ ჰექტარზე კულტივაცია 60-80 ლარი ღირს.

დარგვა იწყება თებერვლის ბოლოს და მთავრდება მარტის შუა რიცხვებში. ძირითადად, პატარა შინამეურნეობებში ამას ქალები აკეთებენ. მამაკაცებს, როგორც წესი, მიწის ნაკვეთებამდე მიაქვთ თესლი და შემდეგ აყრიან მიწას. ადრეული კარტოფილის ერთ ჰექტარზე დარგვას 6-7 ადამიანის შორმა სჭირდება. მცირე შინამეურნეობებში კარტოფილს ძირითადად, ხელით, საკუთარი ძალებით რგავენ. უფრო დიდ მიწის ნაკვეთებში კი (ორი ჰექტარი და მეტი) მექანიზაციას მიმართავენ, რაც ერთ ჰექტარზე 130-160 ლარი ღირს.

ირიგაცია სარეაბილიტაციოა და მიწის ბევრი ნაკვეთი ვერ ირწყვება. ეს ფაქტორი გადამწყვეტია ადგილის და ფართობის განსაზღვრისთვის, სადაც კარტოფილი დაირგვება, რადგან ამ კულტურას დიდი მოცულობის წყლის რესურსები სჭირდება. იმ ნაკვეთებში, სადაც სარწყავი წყალი მიუწვდომელია, ფერმერებს მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი და სხვა კულტურები, რომლებიც ნაკლებ წყალს მოითხოვენ.

კარტოფილის მორწყვა აუცილებელია რამდენჯერმე. თუკი ცოტაა ნალექების რაოდენობა, მორწყვაც მეტია საჭირო, გვალვიან ამინდებში 10-ჯერ და მეტჯერაც, თუმცა, ფერმერები, პრაქტიკულად მხოლოდ 3-5-ჯერ რწყავენ. ერთი ჰა-ს მორწყვა 75 ლარი ღირს.

ადრეული კარტოფილის მოსავლის აღება და გაყიდვები

მოსავლიანობა ჰექტარზე ძირითადად 12-25 ტონაა. საზღვარგარეთიდან შემომტანი სათესლე მასალის გამოყენებისას შეიძლება მოსავალმა 30 ტონას გადააჭარბოს. თუმცა შესაძლებელია სხვადასხვა დაავადებების, მავნებლების ან ცუდი კლიმატური პირობების გამო ამ მაჩვენებელმა დაიკლოს.

მოსავლის აღება ივლისის დასაწყისში იწყება, რაც აგრო-ვადებთან შედარებით ოდნავ დაგვიანებულია. ამის მიზეზი მარნეულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე დიდი სოფელია, სადაც ადრეულ კარტოფილს დიდი რაოდენობით აწარმოებენ. მარნეულში ადრეული კარტოფილის მოსავალს მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში იღებენ, რის გამოც მყიდველები ძირითადად იქვე ვაჭრობენ და ბოლნისელ ფერმერებს მოსავლის გაყიდვა უფრო უჭირთ. თუმცა, ზოგჯერ ფერმერები ჩადიან მარნეულში და თუკი მყიდველებთან ფასზე შეთანხმდებიან, კარტოფილს შედარებით ადრე ყიდიან.

კარტოფილს, ძირითადად, ტექნიკის საშუალებით იღებენ, რაც ჰექტარზე 100-150 ლარი ღირს. ამის შემდეგ მოსავალს ხელით აგროვებენ. მცირე ფერმერული მეურნეობებს საამისოდ საკუთარი ძალებიც ჰყოფნიან. ის ფერმერები, რომლებიც კარტოფილს შედარებით დიდ ფართობზე თესავენ, მოსავლის ასაღებად მუშახელს ქირაობენ (კარტოფილის ამოღება-შეგროვება დღიურად – 20-25 ლარი, ხოლო მოსავლის ნაკვეთებიდან გამოტანა 30 ლარი ღირს). შეგროვებაზე ძირითადად ქალები, ხოლო გამოტანაზე მამაკაცები მუშაობენ.

პროდუქციას ძირითადად ადგილობრივ ასაღებენ. მყიდველები ხშირად ერთი და იგივე პიროვნებები არიან, ძირითადად, თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან, რომლებთანაც ფერმერებს რამდენიმე წლის ურთიერთობა აკავშირებთ. მოსავლის რაოდენობის, ხარისხის და ფასის პირობებს მყიდველები ტელეფონით ათანხმებენ და ამის შემდეგ ჩადიან ადგილზე პროდუქციის წასაღებად. როგორც წესი, ისინი იმდენ კარტოფილს ყიდულობენ, რამდენსაც მათი ტრანსპორტი დაიტევს, ძირითადად, 3-10 ტონას.

ზოგჯერ ფერმერებს თვითონაც მიაქვთ პროდუქცია გასაყიდად. ეს უფრო მეტად მაშინ ხდება, როდესაც კარტოფილს ვერ ყიდიან ადგილზე. გასაღების ძირითადი ბაზრებია, ასევე, თბილისი და რამდენიმე დიდი ქალაქი. თუმცა, ტრანსპორტირების, კვების და ღამისთვის ხარჯების გამო ფერმერებისთვის ეს არარენტაბელურია.

დახმარება ადრეული კარტოფილის წარმოებისას

საწარმოო მასალის მაღაზიები

მუნიციპალიტეტის ცენტრებში განთავსებულია რამდენიმე მაღაზია, სადაც ფერმერებს საწარმოო მასალის შეძენა შეუძლიათ. როგორც წესი, მათ ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში ჰყავთ წარმომადგენლები, რომლებიც პროდუქციას ფერმერებს აწვდიან. შესაბამისად, საწარმოო მასალა თითქმის მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის ხელმისაწვდომი. თუმცა, ცენტრისგან განსხვავებით, წარმომადგენლებთან პროდუქციის შედარებით ნაკლები არჩევანია.

საწარმოო მასალა არის როგორც ქართული, ასევე უცხოური წარმოების. ხელმისაწვდომია როგორც ცნობილი კომპანიების მაღალი ხარისხის პროდუქცია (ბაიერი, ბასფი, სინჯენტა), ასევე, შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტები განვითარებადი ქვეყნებიდან. მაღაზიებში კონსულტანტებად მუშაობენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები.

მექანიზაცია

თითქმის ყველა სამუშაო, რაც კარტოფილის მოყვანას სჭირდება, მექანიზაციით კეთდება. მუნიციპალიტეტში ამ სამუშაოებს სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრები და კერძო მექანიზატორები ახორციელებენ. სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. თუმცა, რამდენიმე მიზეზის გამო მცირე ფერმერები უპირატესობას კერძო მექანიზატორებს ანიჭებენ. სახელმწიფო ცენტრისგან განსხვავებით, რომელიც სოფელ ცურტავშია, კერძო მექანიზატორები თითქმის ყველა სოფელში არიან. ვინაიდან სახელმწიფო ცენტრიდან ტექნიკის ტრანსპორტირება დამატებით ხარჯებს მოითხოვს, წვრილ ფერმერებს ადგილზე არსებული ტექნიკის გამოყენება ურჩევნიათ.

სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრის სერვისებს ძირითადად დიდი ფერმერები იყენებენ. მომსახურების მისაღებად ისინი თანხას წინასწარ იხდიან. მცირე ფერმერებისთვის კი უფრო ხელსაყრელია კერძო მექანიზატორების დაქირავება, რადგან მათთვის თანხის გადახდა შესაძლებელია შემოდგომაზე, მოსავლის გაყიდვის შემდეგ.

ფინანსური რესურსები

მუნიციპალიტეტში რამდენიმე ბანკის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის – „ბითიეი ბანკის“, „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“, „კონსტანტას“, „ფინკას“ და „კრედოს“ ფილიალებია.

მოსახლეობაში პოპულარულია იაფი აგროკრედიტების პროგრამა, რომლითაც 5,000-დან 100,000 ლარამდე კრედიტის აღება შეიძლება. სესხის საშუალო ოდენობა ყველაზე ხშირად 20 000 ლარამდეა. კრედიტი სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით, რაც ასევე ამცირებს მის მოცულობას.

ფერმერები იშვიათად სარგებლობენ დაზღვევით. ხშირად მათ არაფერი იციან ასეთი სერვისის არსებობის ან პირობების შესახებ. იმ ფერმერებს, რომლებსაც სმენიათ დაზღვევის შესახებ, ურჩევნიათ ფინანსური რესურსები კარტოფილის წარმოებაში გამოიყენონ, ვიდრე დაზღვევის ღირებულება გადაიხადონ. მეორე მხრივ, ფერმერები დაზღვევას საჭიროდ მიიჩნევენ.

კონსულტაციები/ინფორმაციის მიწოდება

საკონსულტაციო მომსახურება არ არის სისტემური და ინსტიტუციური. დაავადებებზე და მათთან ბრძოლის ხერხებზე მოსახლეობა ინფორმაციას ძირითადად მაღაზიებიდან იღებს, სადაც ისინი სათესლე მასალას, სასუქს და პესტიციდებს ყიდულობენ. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებს აგრონომები არ ჰყავთ, პირადი გამოცდილების და საწარმოო მასალის მწარმოებლების ბროშურებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ისინი კონსულტაციებს მაინც უწევენ ფერმერებს. ხშირად კონსულტაციები ეფუძნება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების შედეგებს ან სიტყვიერ ინფორმაციას ფერმერებისგან, რასაც ზოგჯერ ცუდი შედეგები მოსდევს. მაგალითად, ჰერბიციდების გამოყენება სარეველებთან საბრძოლველად შესაძლოა საზიანო იყოს კარტოფილისთვის, თუ ის უკვე აღმოცენებულია. მაღაზიაში შესაძლოა ფერმერს მისი გამოყენება ურჩიონ, რაც უკვე ამოსულ კარტოფილს აზიანებს და ფერმერების უკმაყოფილებას იწვევს.


სურსათის უვნებლობის ადგილობრივი სამსახური, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს დაქვემდებარებაშია, აგროვებს ინფორმაციას გავრცელებული დაავადებების შესახებ და მოსახლეობას მათთან ბრძოლის გზებს ურჩევს. თუმცა შეზღუდული

ადამიანური რესურსის გამო კომუნიკაცია ხშირად ტელეფონით ხდება, რაც ასევე შეიძლება არასწორი ინფორმაციის მიწოდებით და, შედეგად, ასევე არასწორი რჩევით დამთავრდეს.

კარტოფილის იმპორტის ტენდენცია საქართველოში

კარტოფილის იმპორტის ტენდენცია საქართველოში ბოლო 4 წლის მანძილზე შემდეგნაირად გამოიყურება: 2009 წელს საქართველოში იმპორტირებული კარტოფილის მოცულობა (რაოდენობრივად) ფულად მაჩვენებლებში 2,633.7 ათასი აშშ დოლარი იყო, 2010 წელს ეს მაჩვენებელი საკმაოდ შემცირდა (73%-ით) და 713.3 ათასი აშშ დოლარი გახდა, ხოლო 2011 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა (1800%) და 13854.68 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წელს იმპორტირებული კარტოფილის მოცულობა კვლავ შემცირდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (52%-ით) და 6570.9 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 2: საქართველოში იმპორტირებული კარტოფილის მოცულობა ფულად მაჩვენებლებში 2009-2012 წლებში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეოთხე ნაწილი:

საკანონმდებლო ანალიზი ადრეული კარტოფილის ღირებულებაზე ჯაჭვისთვის

ბოლნისის ღირებულებაზე ჯაჭვის ანალიზით, ადრეული კარტოფილის წარმოება მუნიციპალიტეტის მთავარი მიმართულებაა. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ კანონმდებლობას, რომელიც ადრეული კარტოფილის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

ადრეული კარტოფილის წარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 3 ივლისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №430 ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 31 დეკემბერი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ, 2010 წლის 10 სექტემბერი.

ზოგადი საკითხები

რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება

ჩვეულებრივი ბიზნესების გარდა, საქართველოს სასურსათო კანონმდებლობა ასევე გამოყოფს „ოჯახური წარმოების სუბიექტს“ და „მცირე ბიზნესს“. ოჯახური წარმოების სუბიექტია ფიზიკური პირი, „რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით“. ამ კატეგორიაში მოიაზრება ტიპური გლეხი, რომელსაც სახლში მოჰყავს კარტოფილი და პერიოდულად ყიდის ხოლმე მას. ის ბიზნესები კი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, ითვლებიან „მცირე ბიზნესად“. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2)

ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, საოჯახო, მცირე და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის განსხვავებული ჯარიმების ოდენობებია დანესებული.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა ასევე განასხვავებს ორი სახის ხარვეზს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში. პირველი ტიპის ხარვეზი არის „არაკრიტიკული შეუსაბამობა“, როცა ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობას პირდაპირი საფრთხე არ ექმნება და ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ბიზნესის წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე. მეორე ტიპის ხარვეზია „კრიტიკული შეუსაბამობა“. ასეთ შემთხვევაში ხდება ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისთვის სახიფათო სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირება და ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია საწარმოო პროცესის შეჩერების გარეშე (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ბიზნესის დანება

ბიზნეს ოპერატორი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესი (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 13). თუ ბიზნესი აწარმოებს სურსათს/ცხოველურ საკვებს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მაშინ ის დაჯარიმდება 300 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 64). ზოგადად, ბიზნესის დარეგისტრირების წესი განვირეგულია საქართველოს კანონში მენარმეთა შესახებ, მუხლები 4-8.

სურსათის უსაფრთხოება

ბიზნეს ოპერატორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოება იმ კრიტერიუმების და პრინციპების შესაბამისად, რაც განვირეგულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში. თუ ბიზნეს ოპერატორს აქვს ეჭვის საფუძველი პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას – აღკვეთოს პროდუქტის განთავსება ბაზარზე და გამოითხოვოს უკვე განთავსებული პროდუქცია. ასევე, ბიზნეს ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სურსათის სააგენტოს პრობლემის და მიღებული ზომების შესახებ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 14). თუ ბიზნეს-ოპერატორი განაგრძობს თავისი პროდუქციის გაყიდვას და დადგინდა, რომ მას ჰქონდა ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაშინ ის დაჯარიმდება 1000 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 65).

კარტოფილის წარმოებისთვის დასაშვებია ყველა პესტიციდის და აგროქიმიკატის გამოყენება, რომლებიც სახელმწიფო კატალოგშია შეტანილი. თუმცა, ბუნებრივია, აკრძალულია იმ ნივთიერებების გამოყენება, რომელთაც სარეგისტრაციო გამოცდების შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაღალი შესაძლებლობა დაუდგინდათ (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 4). აკრძალულია იმ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანა, მიმოქცევა, რომლებიც არ არის შეტანილი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში (საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 4). პესტიციდებისა და მათი ჭურჭლის (ტარის) გაუვნებელყოფა და განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, საკუთრი სახსრებით განახორციელოს გამოსაყენებლად უვარგისი პესტიციდების ჩაბარება გაუვნებელყოფისა და განთავსების მიზნით (საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 23).

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს გარეულ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებანი (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 18). მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის მოთხოვნები (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 22).

პესტიციდები და აგროქიმიკატები, რეგისტრაციამდე, ექვემდებარება სარეგისტრაციო გამოცდებს. ეს არ ვრცელდება ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ რეგისტრირებულ პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე – საქართველოში რეგისტრაციისთვის მათ არ სჭირდებათ სარეგისტრაციო გამოცდები. გამოცდებს შესაბამისი ლაბორატორიები ატარებენ, ხოლო ხარჯებს რეგისტრანტი ანაზღაურებს. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ კანონის მიხედვით, სარეგისტრაციო გამოცდა მოიცავს:

- ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ბიოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენასა და მათი გამოყენების რეგლამენტების შემუშავებას;
- ბ) ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შეფასებას, ჰიგიენური ნორმატივების, სანიტარიული ნორმებისა და წესების შემუშავებას;
- გ) გამოყენების რეგლამენტების ეკოლოგიურ შეფასებას (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 10).

დადებითი შეფასების შემთხვევაში, რეგისტრაციის გაცემა ხდება გამოცდის შედეგიდან ერთი თვის განმავლობაში. რეგისტრაციის ვადა, როგორც წესი, 10 წლით განისაზღვრება (კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 12).

წარმოება

მოქმედი კანონმდებლობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა (გარემოზე ზემოქმედების შესახებ. მუხლი 5).

თუმცა, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით აუცილებელია ნებართვა ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქციის იმპორტისთვის. ამგვარად, თუ ბიზნესოპერატორი გადანყვეტს კარტოფილისთვის სათესლე მასალის იმპორტს, მაშინ მას დასჭირდება შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღების წესები განერილია საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში და საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ნორმებს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ).

სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისას სავალდებულოა იმ შეზღუდვების დაცვა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ).

სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობისას სავალდებულოა წყალსარგებლობის დადგენილი წესების, ნორმებისა და რეჟიმის დაცვა. სავალდებულოა ღონისძიებების (მ.შ. გამწმენდი ნაგებობების დამონტაჟება) გატარება წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით (საქართველოს კანონი წყლის შესახებ. მუხლი 53).

ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესი განსაზღვრულია თითოეული წყლის სისტემისთვის დამოუკიდებლად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ (მუხლი 5).

გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო ობიექტის პრივატიზებისას ახალი მეპატრონე სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ მეპატრონეს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 21).

საწარმოო პროცესის დროს დაცული უნდა იყოს ჰიგიენის ელემენტარული წესები, რაც განერილია საქართველოს მთავრობის №173 დადგენილებაში სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ. ამ დადგენილებაში არის საუბარი ისეთ ნორმებზე, როგორცაა საკვების სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება, ადეკვატური სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა და ა. შ. თუ კარტოფილის წარმოება საოჯახო ბიზნესის ან მცირე ბიზნესის კატეგორიაში გადის, მაშინ მოქმედებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ საქართველოს მთავრობის №282 დადგენილება. ამ დადგენილებაში უფრო ჰიგიენის დაცვის უფრო ნაკლები კრიტერიუმია, ვიდრე ზოგად წესში.

თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

გაყიდვები

გაყიდვისას, სურსათის/ცხოველის საკვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ეტიკეტი. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 18).

მეხუთე ნაწილი:

ინიციატივები ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა ინიციატივები, რომელთა განხორციელება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი. ინიციატივები შეირჩა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას
- იგი მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად
- იგი შეესაბამება განვითარების ხედვას და პრიორიტეტებს

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სულ ორი ინიციატივა შეირჩა, რომლებიც დეტალურად ქვემოთაა განხილული:

ინიციატივა #1: მაღალმოსავლიანი ადრეული კარტოფილის ჯიშების იდენტიფიცირება.


ჩვეულებრივ კარტოფილთან შედარებით, მოსახლეობაში შედარებით ნაკლები ინფორმაციაა ადრეულ კარტოფილის შესახებ. ადრეული კარტოფილის წარმოებას დიდი პოტენციალი აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პროდუქტის გავრცელების ხელშეწყობა და შესაბამისი კამპანიის წარმოება. ეს ინიციატივა ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- **ბოლნისისთვის შესაფერისი ადრეული კარტოფილის სათესლე მასალის იდენტიფიცირება.** მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენტურმა ექსპერტებმა გამოავლინონ ის კონკრეტული ჯიშები, რომლებიც ყველაზე უფრო მისაღები იქნება ადგილობრივი კლიმატისთვის.
- **საინფორმაციო კამპანია მოსახლეობაში ადრეული კარტოფილის თესვის და მოვლის წესების შესახებ.** მოსახლეობას უნდა აუხსნათ ადრეული კარტოფილის მოვლასთან დაკავშირებული ნიუანსები, რომ მოკლე ვადებში მიიღონ მეტი მოსავალი.

ინიციატივა #2: სარწყავი სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში

მაღალი მოსავლიანობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი წყალია. შესაბამისად, საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის გარეშე მოსავლის ზრდა გამოირიცხულია. ეს ინიციატივა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- **არსებული არხების რეაბილიტაცია.** ბოლნისის მუნიციპალიტეტში საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი ძველი საირიგაციო სისტემები მწყობრიდან გამოვიდა, თუმცა არხების ნაწილის რეაბილიტაცია და გამოყენება შესაძლებელია.
- **ახალი ტექნოლოგიების (დანვიმება, დასხურება) შესახებ ფერმერების ინფორმირება.** ძველი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციასთან ერთდ, აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც. ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა დანვიმება, დასხურება და პივოტური მორწყვა საკმაოდ ეფექტიანია და შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს სოფლის მეურნეობის პოტენციალი.
- **ტექნოლოგიებზე ფერმერების ხელმისაწვდომობა.** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს ფერმერების დახმარება, რომ სარწყავი ტექნოლოგიები მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ერთგვარი შუამავალი უნდა იყოს ტექნოლოგიების მიმწოდებლებსა და დაინტერესებულ ფერმერთა ჯგუფებს შორის.



წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თვალსაზრისს.

